„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ., სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკ.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როსტომაშვილთან; გორში — ალალო თუთაევთან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

ქალაქის რჩევის გადაწყვეტილებით ქალაქმა აგო ძეგლი გენერალის ტერ-გუკასოვის საფლავზე. იანვრის 13-ს, შუა-დღის 12 საათზე, ვანქის ეკლესიის გალავანში ამ ძეგლის აგების გამო მოხდება პანაშვიდი მიცვალებულის მოსახსენებლად. (1—1)

ქართული თეატრი

დანიშნულის პიესის სამაგიეროდ

კვირას, იანვრის 13-ს.

ბ. კორინთელის ბენეფისში

წარმოდგენილი იქნება:

I

მონასტრის ზღუდეთა-შორის

ანუ

და ტერეზა

დრამა 5 მოქმედებად, თხზ. ლუიჯი კამალეტისა.

II

I სურათი მე-V მოქმედებისა შილერის დრამიდამ:

ყაჩაღები

ბილეთები ისყიდება სათავად-აზნაურო „სობრანიეში“ და არწრუნისეულ თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზედ.

## ერთი კვირა უცხოეთში

თბილისი, იანვრის 12-ს.

ენერგიულ პოლიტიკისადმი მისწრაფება საფრანგეთისა, სამხედრო მინისტრის გამოცვლა ამ სახელმწიფოში, ირლანდიელების იდუმალი მოქმედება ინგლისელების წინააღმდეგ, რუმპფის მკვლელობა და შეტაკება ინგლისელებისა ცრუ-წინასწარმეტყველის ჯართან,—აი, ის საგნები, რომელნიც მიიქცევდენ წარსულს კვირას პოლიტიკის მიმდევარ მკითხველების ყურადღებას.

საფრანგეთი აღარა ხუმრობს. რაკი ფერიმ პალატის გული მოიგო და თანხმობაც გაიკრა, რომ ტონკინში უფრო მტკიცედ ემოქმედნა, მან არ დაზოგა სამხედრო მინისტრი, გამოცდილი გენერალი კამპენონიც კი, რომელიც ამ გვარის პოლიტიკის წინააღმდეგი იყო და ევროპაში გაძლიერებას ამჯობინებდა ტონკინ-ფორმოზების დაპყრობას, და პორტფელი სამხედრო სამინისტროსი ჩააბარა მეორე გენერალს, ლევალს, რომელიც სამინისტროს თავს სრულს მორჩილებას დაჰპირდა. ფრანცუზულ გაზეთებს დიდი იმედი აქვთ, რომ ფრანცუზების ჯარები ადვილად დაიპყრობენ სრულიად ტონკინს და მასუკან იძულებულს გაჰხდიან ჩინეთის მთავრობის დაზავება ითხოვოს იმ პირობებით, რა პირობებსაც საფრანგეთი მოიწადინებს; მაგრამ, რომ ეს იმედი მკვიდრს საფუძველზედ არ არის დამყარებული, ამას თუნდ ის ამტკიცებს, რომ გენერალმა კამპენონმა მინისტრის პორტფელიც კი დასთმო, ოღონდ თავისი მოქმედება ეჭვ ქვეშ არ დაეტოვებინა, და ეს გენერალი ისეთი სამხედრო კაცია, რომლის ცოდნასა და გამჭრიახობას თვით მისნი მოწინააღმდეგენიც უარს არ ჰყოფენ.

***

თითქო ორი დასავლეთის სახელმწიფო საფრანგეთი და ინგლისი პირობა-მიცემულნი იყვნენ,—ისე უწყობენ ერთმანეთს თავიანთ მოქმედებას. საფრანგეთის ენერგიულ პოლიტიკასთან ერთად ინგლისმაც საკმაოდ წინ წასწია თავისი ჯარები და დააბანაკა უდაბნოს ერთს ქალაქს, კორტში, საიდამაც ჯარი ხართუმისკენ უნდა გამგზავრებულიყო ბედკრულის გორ-

## «დროების» ფელეტონი, იანვ. 12-ს

### ეთნოგრაფიული წერილები

აფხაზეთი

(წერილი მეოთხე*).

ძლიერ ბევრს დროს ჰკარგვენ აფხაზნი სასამართლო ადგილებში რომლისამე საქმის მსვლელობის გულსმოდგინედ მოსასმენლად. რადგანაც მათ მუდამ ხვდებათ პასუხის-გება რომლისამე დანაშაულობისათვის, ამისათვის ჰსცდილობენ ზედ-მიწევნით გაიგონ შინაარსი სასამართლოს მოქმედებისა და წესდებულებისა. მალე შეიტყობენ ხოლმე, რომელი მუხლი სამართალისა უფრო სასარგებლო იქნება მათთვის და, იმის თანახმად, ჰსცდილობენ გაიმართლონ თავი ბრალდებისაგან ისე, რომ კანონმა ვერ შეიძლოს მათი გამტყუნება...

დავიწყოთ ისევ ჩვენს თავ-და-პირველს საგანზედ ლაპარაკი... ისევ ძიძაზე განვაგრძოთ ბაასი. რა მდგომარეობაშია ნორჩი კეთილ-შობილი?

მას სახელად უწოდეს „ესმა-ხანუმ“. იგი იზრდება და წარმატებას ეძლევა ყოველს გვარს აფხაზურს სათნოებაში. ძიძა ყოვლის ღონის-ძიებით სცდილობს, რომ მისი გაზრდილი შეესაბამებოდეს ზრდილობის იდეალსა, რომელიც აფხაზთ საზრუნავ საგნად აქვთ წარმოდგენილი. ეს იდეალი დედაკაცისათვის მოითხოვს, რომ მან იცოდეს, თუ ვითარ ტყვე-ჰყოს მხილველნი თვისის შვენიერებითა, ტანის მიმოხრევითა და სატრფიალო სიმარჯვითა. ხოლო ვაჟთათვის იდეალის მისაწდომელად საჭიროა: წამოსადეგი ტანადობა, ენერგია, მახვილ-გონიერება, სიტყვა-პასუხში წრთვნილობა და მარჯვედ სიტყვის მიგება და სიმამაცე. აი, ამისათვის ჩვენი პატივცემული ძიძა ხმარობს ყოველს შესაძლებელ ღონის-ძიებასა, რომ პატარა „ესმა-ხანუმს“ ჰქონდეს პაწაწინა ფეხები, წერწეტი და წვრილი ტანადობა, არა-ამაღლებული მკერდი, შავნი წვრილნი წარბნი, მაღალი და გამოჩენილი შუბლი, გრძელნი ნათხზნი თმანი, ცხვირი სწორი, სალიფერი პირის სახისა, გრძელი თითები და სატრფო მიმოხრევა, შეზავებული სიმარჯვითა. გარდა ამისა, თავადის ქალმა უნდა იცოდეს სხვა-და-სხვა ხელ-საქმე. მან უნდა ისწავლოს ციშების (დოშაკი) გაკეთება, საჩოხე და საყაბალახო შალების მომზადება, ჰრთვა ძაფებისა საცვალთათვის, კერვა სამოგვის წუღებისა, კერვა საცვალთა ზედასაცმელისა და ქარგვა სხვა-და-სხვა გვარის ტანსაცმელთა და ღებვა. შესწავლა ამ ხელთ-საქმისა მას პირველად შეუძლიან თავის ძიძასთან, შემდგომ თავის მშობლებთან, სადაცა ახლავს ქალს თავისი ძიძის ქალი, რომელიც იმყოფება მასთან მეგობრის მსგავსად, თუმცა ლაიგი არის გლეხის წოდების შთამომავალთაგანი. მხოლოდ, როდესაც გათხოვდება თავადის ქალი, მაშინ შეუძლიან წაიდეს მოხსენებული მეგობარი თავის დედასთან, მაგრამ მუნ არა ჰკარგავს სიყვარულსა და განწყობილებასა თავის გაზრდილს დასთან თვით სიკვდილის დღემდე.

ყრმა იზრდება ძიძის რძითა ვიდრე 3, 5, და 7 წლამდე. სოხუმის სახემწიფო სკოლაში არიან იმისთანა მოწაფენი, რომელთაც კარგად ახსოვთ ის დრო, როცა ძიძის ძუძუ უწოვნიათ. ძიძა არაოდეს არ იღებს განწესებულს საფასეს ყრმის აღზრდისათვის და, კმაყოფილდება მხოლოდ მით, რასაც თავიანთ კეთილის ნებით მისცემენ საჩუქრად გაზრდილის მშობელნი.

მესამე წელს ჩვენს ძიძას მიჰყავს ესმა-ხანუმი თავის მშობლებთან. ჩვეულებისამებრ, საჭიროა მშობელნი თავის თვალით დარწმუნდენ რომ ყრმა ჯან-მრთელია და კარგად მოვლილი. წინააღმდეგ, შემთხვევაში ძიძა მხოლოდ რისხვას დაიმსახურებს მშობლებისაგან. ინტერესი ყრმისა იმდენად წმინდაა და ძვირფასი ძიძისათვის, რომ ზრდის დროს მეუღლეობითი კავშირი აღარა აქვს ქმართან, რადგანაც იცის, რომ ორსულობის გამო მისი რძე მავნებელი შეიქნება გაზრდილისათვის. ქმარსაც მტკიცედ და წმინდად დაცული აქვს ეს ჩვეულება.

პირველად ქალის მშობლებთან მიყვანის დროს ძიძა მიდის თავადის შვილის წოდებისათვის შესაფერის ძღვნითა. მას მიჰყვება ათი-თხუთმეტი კაცი, მის მონათესავეთაგან. მშობელნი, როდესაც დარწმუნდებიან რომ მათი ბავშვი ჯან-მრთელია, მადლობას ეტყვიან ძიძას, დაასაჩუქრებენ მას და მხლებელთა მისთა სხვა-და-სხვა საჩუქრებითა.

ამბობენ, რომ ოჩამჩირის მაზრის მცხოვრებმა თავადმა თადა ანჩაბაძემ მისცა თავისი ვაჟიშვილი ტარასხანი გასაზრდელად ერთს ჯიქს, რომელმაც, რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ, მიჰგვარა მამას თვის გაზრდილი ასის შეკმაზულის და ასის შეუკმაზავის ცხენების ძღვნითა. როდესაც ჰკითხა თადა ანჩაბაძემ, რა ჰსურს მიიღოს გამზრდელმა ყმაწვილის გაზრდის შრომისათვის, უპასუხა ამ გვარად:

„მიზღევით მე ამათ ყოველთათვის ფულითა“.

თავადი ანჩაბაძე თუმცა მდიდარი კაცი იყო, მაგრამ არა ჰქონდა ამდენი ფული და ამისათვის მიმართა მრთელს სოფელს, თავის ნათესავებს და თანა-მოგვარეთა და სთხოვა შემწეობა. მხოლოდ მათის შემწეობით შესძლო მან მადლობის შეწირვა ჯიქისადმი, რომელსაც მისცა დიდი უზარმაზარი ლოქი, აღვსილი ვერცხლის მანეთებითა და მასთან დაასაჩუქრა იგინიცა, რომელნიცა ახლდენ მისის შვილის გამზრდელსა. იმის დასამტკიცე-

*) იხ. „დროება“ № 276, 1884 წ.

დონის გამოსახსნელად. ამ ჯარებმა დიდ-ძალი წვალება და შრომა გამოიარეს მოგზაურობის დროს. ნახევარი მიდიოდა ნილოსით და თოკებით გადაჰქონდა პტყელ-ძირიანი ნავები წყალში ამოშვერილ ქვებზედ, რომელნიც ნილოსში უხვად მოიპოვებიან; მეორე ნახევარი მისდევდა უდაბნოს და იტანდა სიმშილსა და წყურვილს, რომელნიც ამ გვარ მოგზაურობას აუცილებლად თან მისდევენ. თუმცა ბუნებრივი დაბრკოლება მრავალი ჰხვდებოდა ინგლისის ჯარებს, მაგრამ მტერი თითქმის არსად არ შეჰხვედრიათ. ბევრნი ამას ისე ჰხსნიდენ, ვითომ მახდის უნდოდა ინგლისელების შორს შეტყუება და მერე უეცარის თავდასხმით მათი სრული ამოწყვეტა. ეს აზრი გამართლდა კიდეც. აქამდის შეტაკებისა სრულიად არაფერი ისმოდა, მაგრამ გუშინდელმა ტელეგრამამ ამბავი მოგვიტანა, რომ უდაბნოში მიმავალებულს ინგლისის ჯარს, 1200 კაცისაგან შემდგარს, უეცრად თავს დასხმია შედარებით დიდძალი ლაშკარი —10,000 კაცი და კარგა ზარალიც მიუცია, თუმცა თითონ ერთი ხუთად მეტი ვნება მოსვლია. ეს ამბავი არ გააჩერებს ინგლისელებს შუა-გზაზედ; უეჭველია ხარტუმამდის მაინც მიაღწევენ, გორდონსაც დაიხსნიან, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ ესეთი მოულოდნელი ამბავი მადას წაუხდენს მათ უცხო მხარეში ქვეყნებზედ ნადირობისას.

* * *

პოლიციელის რუმპფის მოკვლამ და ირლანდიელების მეოხებით ზედიზედ მომხდარმა აფეთქებამ დიდი აყალ-მაყალი ასტეხა ევროპიულ მწერლობაში. ირლანდიელებმა არამცთუ ინგლისელებს მოუტანეს ვნება თავიანთ იდუმალი მოქმედებით, ბევრი ავნეს თვით თავიანთ თანამემამულეთაც, რომელთაც ეხლა აღარსად იღებენ ინგლისში და იქიდამაც ითხოვენ, სადაც ამ ჟამად რაიმე საქმეს ადგანან. ლონდონის ქარხნებმა თურმე რამდენიმე ათასი ირლანდიელი ულუკმა-პუროდ დასტოვეს შემდეგ ხიდთან და ლონდონის ქვეშ რკინის გზაზედ მომხდარ აფეთქებისა. არც ერთთა მოქმედება და არც მეორეებისა საქმეს არას შველის და კიდევ უარესს განხეთქილებას ჰბადავს ამ ორ ხალხთა შორის.

* * *

როგორც აფეთქებათ ინგლისის ხალხი აღელვეს, ისე აღელვა ავსტრიის საზოგადოება რუმპფის მოკვლამ. ამ გამოჩენილი ჯაშუშის გვამი გაუცარცვავი იპოვნეს და სრული საფუძველი აქვთ იფიქრონ, რომ მიზეზი მკვლელობისა პოლიტიკური შურის ძიება იყო. ავსტრია არ დაერიდა თავის პარლამენტურ წეს-წყობილებას და ფიცხლავ შეუდგა ამ გვარ ძალადობის წინააღმდეგ საშუალების გამოძებნას. ამ გვარ შემთხვევაში მაინც ეს ქვეყანა უფრო მეტის სიჩქარით მოქმედობს და ამას ამტკიცებს თუნდ ის, რომ მან მოსპო დროებით ნაფიც მსაჯულთა სამართალი ვენის მაზრაში და ეხლა კიდევ ავსტრიის პალატაში წარუდგენიათ კანონ-პროექტი სოციალისტების წინააღმდეგ. ჯერ არ ვიცით, რა არის შინაარსი ამ პროექტისა, მაგრამ გაზეთების ცნობებიდამ კი სჩანს, რომ ავსტრიის მმართველობა ამ შემთხვევაში თუმცა სიჩქარით, მაგრამ თან სიფთხილითაც იქცევა: მას სწადიან გამოიკვლიოს ის საზოგადო მიზეზები, რომელნიც იწვევენ ხალხში უკმაყოფილებას და ისიც, თუ როგორ ეშველება ამ მიზეზის თავიდამ აცილებას.

## შინაური ქრონიკა

═ ჩვენ შევიტყვეთ, რომ მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელლოების მთავარ-ეპისკოპოზის პავლეს ბრძანებით შედგენილს კომისიაში, რომელიც არჩევს სამრევლო სკოლების მოწყობის საქმეს, სხვათა შორის წევრებად დანიშნულნი არიან: რექტორი სასულიერო სემინარიისა და დირექტორი თბილისის სახალხო სკოლებისა ბ. დარსკი. კომისიაში თავს-მჯდომარეობს რექტორი. წევრებად, როგორც წინადაც გვქონდა ჩვენს გაზეთში მოხსენებული, შემდეგნი სამღვდელო პირნი არიან ამორჩეულნი: დეკ. ე. ელიევი, დეკ. ა. მანსვეტაშვილი, დეკ. გ. ხელიძე და დეკ. პ. ყონჩუაშვილი.

═ მოახლოვდა დრო თბილისის ეპარქიის სამღვდელოების კრებისა, რომელიც დანიშნულია ამ იანვრის 15. სამწუხაროდ ჯერ აქამომდე არავინ არ იცის, რა საგნები იქნებიან წარდგენილნი სამღვდელოების მიერ განსახილველად. ურიგო არ იქნებოდა, რომ წინდაწინვე გამოცხადებულიყვნენ საგანნი განხილვისა, რათა ამით შეძლება მიეცეს ყველა სამღვდელოების წარმომადგენელს, ანუ ესრედ წოდებულს დეპუტატს, მომზადებული შევიდეს ეპარქიულს კრებაში და თავისი აზრი დალაგებით და საფუძვლიანად განმარტოს.

═ საზოგადოდ იმერეთში მიწას დიდი ფასი აძევს: ქცევა, ე. ი. თითქმის დესიატინის მესამედი, ოც-დახუთ თუმნიდამ—ორმოც თუმნამდე ღირს. როცა ამიერ-კავკასიის რკინის-გზის კამპანიამ ბათუმის შტოს გაყვანა განიზრახა, დაინიშნა კომისია, რომელიც უნდა შეთანხმებოდა მამულების მეპატრონეებს. მეპატრონეები არ უთმობდენ თავიანთ მიწებს იმ ფასად, რა ფასსაც კომისია აძლევდა. შემდეგ დიდის დავი-დარაბისა, მოხდა თანხმობა; კომისიამ მისცა პირობა მცხოვრებლებს, რომ, გარდა იმ ადგილებისა, რომელნიც მხოლოდ თვით გზის ლიანდაგს მოხმარდებიან, ორივე მხრივ მიწები უნდა დარჩენილიყვნენ მეპატრონეების მფლობელობის და სარგებლობის ქვეშ მეორე პარალელური ლიანდაგის გაყვანამდე. მცხოვრებელნი მოსტყუვდენ: ეგონათ მეორე ლიანდაგსაც გააკეთებენ, იმის ფულსაც მივიღებთ და ცოტად თუ ბევრად დაკმაყოფილებულნი ვიქნე-

---

ბლად, რომ ჭაბუკმან ტარახან ანჩაბაძემ მართლა მიიღო გაბრწყინვებული მთიური აღზრდა, უნდა ვსთქვათ, რომ იგი ამ ჟამად გავარდნილია ყაჩაღად სხვა-და-სხვა დანაშაულობისათვის.

თითქმის სრული კეთილ-მდგომარეობა აფხაზეთისა დამყარებულია ურთიერთ შორის სამსახურსა და შემწეობაზედ. ვსთქვათ, ახალ-გაზრდა, მაგრამ ღარიბი აფხაზი მოხიბლული შეიქმნა ქალის მშვენიერებით და საბრალოს გამწარებით ჰსურს შეირთოს იგი ცოლად. ამ შემთხვევაში მან მხოლოდ წარმოსთქვას თავისი სურვილი, და უცბად ყოვლის მხრიდგან ეზიდებიან სხვა-და-სხვა გვარს საჩუქრებსა, საჭირო ტანსაცმელის გამოწყობისათვის, ქორწილის გამართვისათვის და სახლ-კარიანობის პირველ მოსაწყობად. ახსოვთ საზოგადოდ ყოველთა მისგან სიამოვნება და ჰსცდილობენ ნაცვალს სიამოვნებასა. სიამოვნება მისგან ის თუ იქნებოდა რომ, როდესაც მორეკდა სამეგრელოდამ, ანუ სხვა ადგილებიდამ ნაპარევსა პირუტყვსა, მაშინ მსწრაფლ დაჰკლიდა, რაოდენსამე იმა პირუტყვთაგანსა და გაუმართავდა ნადიმსა, შეაქცევდა უზომოდ და აჩუქებდა ყველას, ვისაც კი რა გახვდებოდა.

მივუბრუნდეთ კვალად ჩვენს თავადის ქალს. ის შვიდსა და რვა წლამდე რაოდენ გზისმე მოჰდიოდა თავისის ძიძით მშობლებთან. მას მართლა აქვს პაწაწინა ფეხები, მისთვის რომ პირველსავე შობის დღეს შეუკრეს იმ გვარი სამოგვის წუღები, რომლებშიაც ფეხები მჭიდროდა ჰქონდა და აღარ ეზრდებოდა თავისუფლად. აგრეთვე ტანადობა წვრილი, რადგან ძიძამ შეუკერა მას იმ გვარი ვიწრო ტანისამოსი, რომელიც უძლიერესად უჭერს ტანსა, ვიდრე კორსეტი განათლებულ დედაკაცთა.

ქალი უკვე ათის წლისაა და იგი გადადის თავის მშობლების სახლში, სადაც ამთავრებენ მის აღზრდას. იგი არაოდეს არ აცხრობს სიყვარულსა თავის ძიძისადმი და არა უშლის-რა მას ნახვასა მისსა თითქმის ყოველ დღე. თავის ურვასა და სიხარულსა იგი უყოფს თავის ძიძის ქალიშვილსა, რომელიც ყველგან თან დასდევს.

ქალს ჰსურს პირი მისი იყოს უსპეტაკეს თოვლისა, წარბები უშავეს მელნისა, წელი მისი გაეტიოს ოქროს ბეჭედში.

ამ ჰასაკში ქალი იწყობს პრანჭვასა და კეკლუცობას, რომელიც დედაკაცთ შობისა თანავე დაჰყვებათ ხოლმე.

მოვისმინოთ მცირედი სანიმუშო საუბარი, რომელიც ხშირად მოხდება ხოლმე ამ გვარის ქალისა და მის მეგობრის შორის.

— ძვირფასო ესმა ხანუმ! მსურს, რომ შენ იყო ყველა ქალებზედ უმშვენიერესი?

— დიაღ, მსურს, რომ პირის სახე ჩემი იყოს თეთრი.

— აბა ისმინე ჩემი, სიხარულო ჩემო! აი, რა უნდა ჰქმნა: მოიღე ვეცხლის წყალი და თავი არაყი, კარგად აადუღე ეს ორივე ერთად, დააყენე და მერმე სწმინდე მარილიანის წყლითა იქამომდე, სანამდის წმინდად დალექილი არ შეიქმნას. ეს უნდა წაისვა პირის სახეზედ და გაგითეთრებს. ხოლო პირის სახის კანი თუ გსურს გქონდეს ლბილი, უნდა ახალი ჰყინტლის სიმინდის მარცვლები დასჭყლიტო, გამოსწურო და იქიდგან გამოსული წვენი უნდა გაუდგა მზესა. აქედგან შედგება სახამებელი და იმას იცხებდე პირზედ ღამით; ჭორფლისაგან ანუ მზისაგან დამწვარის პირის სახის გადასვლისათვის არის უმჯობესი ყოვლისა ტყემალი, რომელიცა უნდა ადუღო და დუღების დროს ქაფი მოხადო, რომელსაც აქვს თვისება სიმჟავისა. ეს ქაფი იცხე პირის სახეზედ; დარწმუნდი, რომ ყოველ გვარი ჭორფლი და მზისაგან დამწვრობა გაქრება.

მადლობელი ვარ, ჩემო საყვარელო! მაგრამ, რა უნდა ვიხმარო, შუბლის სიმაღლისათვის, წარბების სიწვრილისა და სიშავისათვის, ლაწვების სიყირმიზისათვის და მასთან, რომ პირის სახეზედ არა მქონდეს ბუსუსები და ხალები.

— შემიძლიან ამაშიაც მოხმარება. მოიღე გუნდა, შესწვი ცოტაოდენად, შემდგომ წმინდად დანაყე და დაყარე პრტყელს ქვაზედ. მერმედ იშოვნე ნაჭერი ტყვიის ზოდისაგან, დაასხი ცოტაოდენი წყალი დაფქვულს გუნდაზედ და იმ ტყვიის ნაჭერით აურიე. შემდგომ ისვი ეს წარბებსა და წამწამებზედ, და ხელი არ ახლო, ისე გქონდეს სანამ ზედ დაახმებოდეს. ერთისა ანუ ორის საათის შემდეგ გადაირეცხე იგინი და ნახავ, თუ როგორ შავს ფისზედ უფრო შავი წარბები და წამწამები გექნას. ხოლო წარბების სიწვრილისათვის, აი, როგორ უნდა მოიქცე: აიღე კალმის საჭრელი დანა და მისი წვეტით გამოიქენი ბეწვები იმ ზომამდე, სანამდის ხშირი წარბები დაგიწვრილდებოდეს და გრკალის მსგავსად არ შეგექმნეს.—ზასაქრობელად ბუსუსებისა და ხალისა პირის სახეზედ საშიშარია დანის ხმარება; უმჯობესია აიღო ორი აბრეშუმის ძაფი, შეგრიხო კარგად და მით გამოიქნა ყველა ხალები პირის სახეზედ; ამისაგან წარმოსდგება ორ-გვარი სარგებლობა: პირველად გაგიქრება ხალი და მეორედ, ლოყები ნათობას დაგიწყებენ, როგორც იაგუნდი და ლალი.

კოწია მაჭავარიანი.

(შემდეგი იქნება)

ბითო. ამის გამო დაუთმეს ქცევა მიწა ოთხ თუმან ნახევრად. თანხმად ამ პირობისა, გლეხებმა შარშან დახნეს და დასთესეს თავიანთ მამულები ლიანდაგის თხრილის პირამდე. როცა ჭირნახულის მოწევის დრომ მოაწია, რკინის-გზის მმართველობისაგან გამოგზავნილმა კაცებმა ააოხრეს ნამუშევარი და დიდი ჩხუბი გაუწიეს მცხოვრებლებს. ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ საქმის თაობაზე საჩივარია გამართული.

== ამას წინად ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ ვახუშტის ისტორიის რედაქტორი და გამომცემელი იმის ზრუნვაში არიან რომ მისი სურათი იშოვონ სადმე, მაგრამ დღემდე ვერსად ვერ აღმოაჩინეს. თუმცა ერთმა ქართულის მწერლობის მოყვარემ, რომელიც რუსეთში სცხოვრობს, ბევრი ეძება, როგორც მოსკოვის, ისე პეტერბურგის წიგნთ-საცავებსა და არხივებში და თვით იმ სახლშიაც, რომელშიაც ვახუშტი სცხოვრებდა მოსკოვში, მაგრამ მისი ძებნა ამაო შეიქმნა. დღეს ამ თხზულების რედაქტორი, პატივცემული დ. ზ. ბაქრაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ უკეთუ ხსენებული სურათი მოეძებნება ვისმეს საქართველოში, ნუ დაიზარებს და გამოგზავნოს ან ,,დროების'' რედაქციაში, ან თვით დ. ბაქრაძის სახელობაზე. სურათი დაიბეჭდება ლიტოგრაფიით და დედანი ისევ უკან დაუბრუნდება პატრონსა.

== ჩვენ შევიტყეთ, რომ შაჰი-აბაზის სურათი, რომლის ნამდვილი პირი აქამდე არსად არ იყო და საარქეოგრაფიო აქტებში მხოლოდ მიმზგავსებით დაიბეჭდა, დღეს თ. დავ. ვ. ერისთავს სრულიად შემთხვევით აღმოუჩენია.

== სოფ. ბაკურ-ციხეში გაუმართავთ წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით. წარმოუდგენიათ ,,ბაიყუში'' ვოდ. ა. ცაგარლისა და ,,პეპო'' კომ. სუნდუკიანცისა. შემოსულა სულ 50 მან. ნაღდი, მაგრამ 25 მან. დახარჯულა დუდუკით საუზმის გამართვისათვის და საქველ-მოქმედო საგნისათვის მხოლოდ 25 მან. გადარჩენილა.

== გრაფის უვაროვის გარდაცვალების გამო, რომელიც იყო საპატიო წევრი ,,კავკასიის ისტორიისა და არხეოლოგიის საზოგადოებისა'', ამ უკანასკნელის წევრთ მოუხდენიათ კრება დიდის ხნის დასვენების შემდეგ და გადუწყვეტიათ თანაგრძნობითი ტელეგრამის გაგზავნა გარდაცვალებულის ქვრივისათვის, მეორმოცე დღეს (თებერვლის 6) პანაშვიდის გადახდა, რომლის შემდეგაც უნდა მოხდეს კრება საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში და ეს კრება მთლად ეძღვნას გარდაცვალებულის ხსოვნას. დასასრულ, კრებაზე წაუკითხავთ ქაღალდი თბილისის გუბერნატორისა, რომლითაც გუბერნატორი სთხოვს საზოგადოებას ამოირჩიოს რამდენიმე პირი იმ სახემწიფო კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელმაც უნდა გაარჩიოს დასაწვავად განზრახული ქაღალდები. მაგრამ, რადგანაც საზოგადოებას არ სცოდნია, რა საშუალება აქვს ამ მომავალს კომისიას მშრომელთა დასაჯილდოებლად, ვერავინ ვერ ამოურჩევია ამ კრებაზე (გაზ. ,,კავკაზი'').

== ამ იანვრის ნახევარს თბილისში თ. მთავარ-მმართებლის რჩევაში განიხილება პროექტი სამიწა-წყლო საქმეების მოწყობისა ყარსის ოლქში. რჩევის სხდომაზე დაესწრობა აგრეთვე სამხედრო გუბერნატორი ყარსისა (გაზ. ,,ყარსი'').

## დავიწყებული ერი

(ხმა სვანეთიდამ)

„რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი;
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ მცემელი;
თუ არა ვსდევნით, ბოროტსა მართლის არა ვართ მფარველი;
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი".

გრ. ორბელიანი.

საზოგადოდ ყველა ის პირნი რომელთაც კი უვლიათ სვანეთში, დაუყვიათ რამდენიმე დღე ერთად სვანებში და დაჰკვირვებიან იმათ გარეგან თუ შინაგან ცხოვრების წყობილებასა და მდგომარეობას, იმათ ზნეობისა და გონების ვითარებას, ეკონომიურის მხრით დავრდომილებას, უეჭველად დაგვეთანხმებიან, რომ არც ერთი კუთხის მცხოვრებნი ჩვენის სამშობლოისა არ არიან ისე ხელ აღებულნი, დავიწყებულნი და ღვთის ამარად გაშვებულნი, როგორც ზემოხსენებული ხალხი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანები ისევ იმავე ძველს, დრო-გადასულს ცხოვრების წეს-წყობილებაში არიან მჭიდროდ ჩაჭედილნი, რომელშიაც იყვნენ იმ დროის ხალხნი, როდესაც განათლებისა და გონებრივის აღმაღლების ბრწყინვალე ლამპარს ჯერ თავისი სხივები არ ჰქონდა შემონათებული საქართველოს ერის ცხოვრებაში. დიაღ, ამ ხალხის ცხოვრება დღესაც ნამდვილი სურათია იმ წინაპართა ცხოვრებისა, რომელთაც უცხოვრნიათ იმ გადაკარგულს მხარეში ხუთი-ექვსი საუკუნის წინად.

რა არის უმთავრესი მიზეზი სვანების ამ გვარის უნუგეშო მდგომარეობისა, რა მიზეზები არიან ის მიზეზები, რომელნიც ასე განასხვავებენ ამ ხალხს, როგორც ზნეობით, აგრეთვე ცხოვრების წეს-წყობილებით დანარჩენს თავიანთ მოძმე საქართველოს ხალხთაგან; რა არის ის დაუძლეველი მიზეზი, რომ ამ ხალხს ერთსა და იმავე წერტილიდამ ამდენი საუკუნის განმავლობაში, ფეხი ვერ გადმოუბიჯებია და ვერ დასდგომია განახლებისა და წარმატების გზას? ამის მიზეზები შეიძლება სხვაც ბევრი რამ იყოს, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ იმათ დავასახელებთ, რომელნიც, ჩვენის შეხედულებით, უმთავრეს მიზეზებად ჩაითვლებიან. უმთავრეს მიზეზად, რასაკვირველია, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამდენს ხალხში, რომელიც შესდგება რამდენიმე ათასის კომლისაგან, ვერ ნახავთ ვერც ერთს სკოლას, ვერც ერთს ისეთს დაწესებულებას, რომელმაც ხალხს გონება გაუღვიძოს, გონების თვალი აუხილოს, ტვინი შეუმუშაოს და წარმატების გზაზედ დააყენოს; თქვენ აქ ვერ ნახავთ ვერც ერთს მცირეოდენს ნიშანს იმისას, რომ ამ ხალხის საკეთილ-დღეოდ ეზრუნოს ვისმე.

ყოველ-დღიური ცხოვრება მრავალის მაგალითებით გვარწმუნებს, რომ თითქმის ერთი უმთავრესი საშუალება, როგორც კერძო ადამიანისა, ისე მთელის ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობისა, ამაღლებისა და კეთილდღეობის მოპოებისათვის არის სწავლა-განათლება. თითქმის მხოლოდ ამ უკანასკნელს შეუძლია, როგორც კერძო ადამიანის, ისე მთელის ერის დაყენება ცხოვრებაში წარმატების გზაზედ.

ამის შემდეგ, სვანეთი, რომელიც იმ თავიდამვე მოკლებულია ამ საუკეთესო საშუალებას წარმატებისას, რა გასაკვირველია, რომ ყოვლად უნუგეშო მდგომარეობას წარმოადგენდეს.

ამ გვარი მდგომარეობა ჩვენი თანამოძმე ხალხისა სვანეთში არა მარტო ერთით მისთვისვე არის სამწუხარო და დასაფიქრებელი, არამედ ყველა ნამდვილი და შეგნებული ქართველისათვის, იმიტომ რომ თუ ეს ხალხი ჩვენ ნათესავ ხალხად გვყავს აღიარებული, იმ სნეულის მდგომარეობას ვერ ავიცდენთ თავიდამ, რომელსაც ერთი რომელიმე ასო სხეულისა აქვს მძიმედ დასნეულებული, მოშლილი, მოწყვეტილი, და ამიტომ ველარ უწევს ამხანაგობას დანარჩენს ორგანებს აგებულებისას. სამწუხარო უნდა იყოს ყველასთვის, რომ ამდენს ხალხში თითქმის ვერ შეხვდებით ისეთს პირს (ჩვენ ვამბობთ გლეხ-კაცობაზედ), რომელსაც თავის სახელისა და გვარის ამოკითხვა ან დაწერა შეეძლოს. მართალია, აქ არც ის უნდა დარჩეს მოუხსენებელი, რომ ეს ხალხი თვით ბუნებასაც გეოგრაფიულის მდგომარეობით ისეთს ვითარებაში ჩაუყენებია, ისეთ ნაირად შემოუზღუდავს ოთხივ კუთხივ თავის მაღალი და ძნელად გადასავლელის მთებით, რომ ყოველი შუქი სინათლისა გვიან აღწევს იქ, და კიდევ ერთი ათად უფრო გვიან იკიდებს ფესვებს, მაგრამ თვით კაცსაც მეტ ტვირთად სჩვენებია თითქო ამ ხალხის ბედ იღბალზედ ზრუნვა და მიუტოვებია კიდეც ღვთის ანაბარად.

შეიძლება იფიქროს ვინმემ — ეს ხალხი იმიტომ არის ეგრე უკან დარჩენილი, რომ არა აქვს შეგნება სწავლის ღირსებისა და საჭიროებისა, არ უნდა თავის უვარგისის ცხოვრების წეს-წყობილების შეცვლა და ახალი სწავლა მეცნიერების შეძენაო. მაგრამ ეს ასეც არ არის. სვანები ეგრე უმეცარნიც არ არიან, [illegible] ზოგიერთებსა ჰყავთ წარმოდგენილი: ისინი, მართალია, მთის ხალხნი არიან, მთის ბუნების შვილნი და მაშასადამე უმეცარნი, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ სვანები ბუნებით ნიჭიერნი არ იყვნენ. დიაღ, სვანები, საკმაოდ გრძნობენ სწავლა-განათლების შეძენის აუცილებელ საჭიროებას, კარგად იციან რომ უსწავლელობა არის მთავარი მიზეზი მათი უკან დახევისა და გალატაკებისა, მაგრამ, რა უნდა ჰქნას ამ საცოდავმა ხალხმა? მარტო შეგნება ხომ ვერ უშველის, თუ ამ შემთხვევაში ხელის მიმცემი, თვალის ამხელი, გზის გამკვალავი არავინ აღმოუჩნდება, თუ კი აღარავინ აღარ გაიხსენებს იმ წმინდა და მაღალ ზნეობრივს მოვალეობას, რომელიც აძევს ყოველს ღირსეულს მამულიშვილს, და რომელიც იმაში მდგომარეობს რომ შენს დაცემულს ძმას ხელი მისცე და აღადგინო...

ხსენებულს ხალხში რომ სწავლის საჭიროება შეგნებულია, ამაში თვითონ ჩვენ დავრწმუნდით ამას წინად საბატონო და სადადიანო სვანეთის ორს საზოგადოებაში — ლაშხეთისა და ლენჯერისაში ყოფნის დროს. აქ თვითონა მქონდა ზემოხსენებულ საგანზედ მოლაპარაკება ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების'' სახელით, რომ ამ უკანასკნელის დახმარებით დაარსონ სკოლები. სამწუხაროდ, მოლაპარაკების დროს, მთელი საზოგადოება არ ყოფილა თავ მოყრილი, მაგრამ, ვინც იყვნენ, იმათ პასუხშიაც ნათლად გამოჩნდა მხურვალე სურვილი სწავლის მიღებისა, მხოლოდ ზოგიერთა მათგანმა მიზეზად მოიყვანა თავიანთი უკიდურესი სიღარიბე და როდესაც ჩვენ ავუხსენით პირველად ის, თუ რა სარგებლობას მოუტანს მათს შვილებსა და საზოგადოდ მათს ცხოვრებას ,,სკოლა'' და მეორედ, როდესაც დავანახეთ, თუ რა მცირე გარდასახადი შეხვდებათ კომლზედ, (ამ საზოგადოებათაგან ერთი სამას კომლზედ მეტია, და მეორე—ორასზედ), და მესამედ, აღვუთქვით ზემოხსენებული ,,საზოგადოების'' მხრით დახმარება, მაშინ ყველას პირის სახეზედ სიამოვნებისა და თანხმობის ნიშნები გამოიხატა.

თუკი ვინმე აღმოგვიჩნდება ისეთი მადლიანი, რომელიც არ დაიშურებს მცირეოდენს დახმარებას მაინც, გაგვიძღვება წინ და გაგვიკაფავს გზას; თუკი ვინმე გაგვიხსენებს და ჩვენთვის კეთილს რასმეს ილვაწებსო, ჩვენ რასაკვირველია, ჩვენის მცირე ღონისძიებით არაფერს არ დავიშურებთო სთქვეს სვანებმა. ეს იყო დახლოვებით საერთო პასუხი თავ-მოყრილის ხალხისა.

ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ, თუ მართლა აღმოუჩნდა ვინმე ღვთიანი კაცი ამ ხალხს, ისეთი, რომელმაც მართლა გულით მოჰკიდოს ხელი ზემოხსენებულს საგანს, ხალხი ყოველ-გვარ მის წინა-

დაბებას სკოლების დაარსების შესახებ მიიღებს და მალეც ჩაიდგმება ამ მივიწყებულ მხარეში გონებითი განათლებისა და გალვიძების მომფენი ტაძრის საძირკველი. აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამის პირდა-პირი მოვალენი არიან ისინი, ვისთვისაც ჩვენის ხალხის განათლება და კეთილ გზაზედ დაყენება შეადგენს ერთს უმთავრეს სურვილს, და რომელნიც ამ სურვილის მისაღწევად იღწვიან, რამდენადაც გარემოება ნებას აძლევს.

ქაიხოსრო გელოვანი.

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

იანვრის 11-ს

**პეტერბურგი.** ხელ-მოწერილ იქმნენ დიპლომატიური ნოტები რუსეთისა და პრუსიის შორის ბოროტ-მოქმედთა გაცემის შესახებ. ამ ორმა სახემწიფომ ერთმანეთს უნდა გასცენ იმისთანა პირნი, რომელთაც ბრალდებათ ბოროტი განზრახვა ან მოქმედება ხელმწიფისა ან სამეფო გვარეულების წინაამდეგ. ეს ბოროტ-მოქმედებანი არიან: მკვლელობა, ძალადობა, სხეულის დასახიჩრება, განგებ პიროვნული თავისუფლების მოსპობა და შეურაცხების მიყენება. გაიცემიან აგრეთვე უბრალო მკვლელობაში დამნაშავენი და კანონის წინაამდეგ შემნახავნი და გამკეთებელნი დინამიტისა და სხვა ასაფეთქებელ ნივთიერებათა. ყოველ სხვა შემთხვევაში. როდესაც ერთი სახემწიფო მეორეს მოსთხოვს ბრალდებულის გაცემას, მისი თხოვნა პატივდებაში იქნება მიღებული და შეძლებისამებრ დაკმაყოფილებული მათ შორის მეგობრული კავშირის გამო. პოლიტიკური განზრახვა ვერ დაუშლის ბრალდებულის გაცემას. ამ შეთანხმების შემდეგ, რომელსაც ტრაქტატის ძალა აქვს, ფორმალური პირობა იქნება შეკრული, რომელსაც მთელს გერმანიაში ძალა ექნება.

**ოდესა.** რეიდი გაჰყინა.

**ლონდონი.** სამინისტროს პოლიტიკა თითქო შეიცვალა; ზოგთ საფრანგეთთან დაახლოვება სწადიანთ.

## ცნობანი

**სააავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაბინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | 7 კ. |



## განცხადებანი

ვაძლევ **გაკვეთილებს** ყველა საგნებიდამ, სხვათა შორის ქართულის ენიდამაც. ვამზადებ ყმაწვილებს საშუალო სასწავლებელთათვის. ადრესი: ,,**დროების**'' რედაქციაში. (5—3)

## ქუთაისში,

**ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში** ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და-პირ საკუთარ შენობაში.

(5—1)

მადლობა ღმერთსა და გულითადი მადლობა პარსის თვალის ოპერატორს **მირზა-აბაზ-ბეკ ხადუი უსეინსა**,

რომელმაც გამიკეთა ოპერაცია ჩემი ორი წლის წვალების შემდეგ. ორივე თვალში თეთრი მქონდა, ეხლა კარგად ვხედავ.

ექიმი სცხოვრობს ჩუღურეთში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის პირ-და-პირ № 6, კ. ზლოვის სახლში.

(1—1) დავით კაზუღაშე.

# ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1885 ГОДЪ

# „РАДУГА“

## ТРЕТІЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ.

**Еженедѣльный иллюстрированный семейный журналъ литературы, изящныхъ искусствъ и общественной жизни.**

*50 нумеровъ въ годъ.*

Въ 1885 году ,,Радуга'' дастъ своимъ читателямъ рядъ романовъ, повѣстей, разсказовъ и стихотвореній исключительно изъ русской жизни, съ участіемъ выдающихся современныхъ русскихъ писателей.

ИЛЮСТРАЦИИ извѣстныхъ русскихъ художниковъ будутъ воспроизведены самымъ тщательнымъ образомъ, съ помощью новѣйшихъ открытій въ области графическихъ искусствъ. Гравюры будутъ исполнены въ лучшихъ русскихъ и иностранныхъ заведеніяхъ.

## БЕЗПЛАТНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ ВЪ 1885 ГОДУ:

„Сцена“ приложеніе, „Аккордъ“ приложеніе, „Моды“ приложеніе „Салонъ“ приложеніе.

СЦНА ПРИЛОЖЕНІЕ: Театральное искуство. Критика. Драматическія пьесы для большой сцены и для любительскихъ спектаклей. Трагедіи. Драмы. Водевили—при участіи извѣстныхъ драматурговъ, какъ Викторъ Александровъ (Крыловъ) Невѣжинъ, князь Сумбатовъ и др. Провинціальная корреспонденція.

АККОРДЪ ПРИЛОЖЕНІЕ: Новости изъ музыкальнаго міра. Портреты выдающихся современныхъ композиторовъ и исполнителей. Отчеты о концертахъ. Критическія замѣтки. Къ каждому нумеру „Аккорда“ будутъ приложены также безплатно ноты для фортепіано и пѣнія: исключительно новыя пьесы, танцы, аранжировки изъ новыхъ оперъ и оперетокъ.

**Въ 1885 году въ журналѣ Сцена будутъ помѣщены Портреты русскихъ драматическихъ писателей и выдающихся артистовъ русской столичной и провинціальной сцены.**

МОДЫ ПРИЛОЖЕНІЕ: Иллюстрированныя парижскія моды. Текстъ и рисунки изъ Парижа, подъ редакціею Тіерри. Руководство для туалетнаго стола. Косметика. Домашній обиходъ. Домашнее хозяйство. Столъ.

Въ 1885 году будетъ открытъ новый отдѣлъ ГИГІЕНА Какъ жить здоровому и какъ помочь больному человѣку. Совѣты врача. При этомъ отдѣлѣ открытъ почтовой ящикъ для совѣтовъ. Пользоваться правомъ этого почтоваго ящика могутъ лишь гг. подписчики.

Въ 1885 году мы дадимъ Новое Безплатное Приложеніе, въ которое войдутъ:

САЛОНЪ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЯ ОБЩЕСТВЕННЫЯ УВЕСЕЛЕНІЯ: 1) Карты. 2) Общественныя игры. 3) Пасьянсы. 4) Хореграфія (танцы). 5) Шарады. 6) Ребусы. 7) Задачи. 8) Фокусы. 9) Эксперименты изъ области химія и физики. 10) Гимнастика. 11) Спиритизмъ. 12) Обширный шахматный отдѣлъ. 13) Стенографическій отдѣлъ. 14) Почтовый ящикъ для гласной корреспонденціи подписчиковъ между собою (право пользованія имѣютъ только подписчики журнала.)

## ВЕЛИКОЛѢПНАЯ БЕЗПЛАТНАЯ ПРЕМІЯ.

**По своему богатому содержанію, обнимающему всѣ явленія общественной жизни, ,,Радуга'' займетъ въ 1885 году безпорно первое мѣсто среди иллюстрированныхъ еженедѣльныхъ журналовъ.**

Редакція „РАДУГИ“ не жалѣетъ ни расходовъ, ни трудовъ, чтобы сдѣлать изъ своего журнала органъ русской семьи, и только быстро пріобрѣтенная популярность и значительное число подписчиковъ даютъ ей возможность, несмотря на низкую подписную цѣну, настолько увеличить программу журнала.

*Въ 1885 году ,,Радуга'' будетъ выходитъ аккуратно по четвергамъ*

**Подписная цѣна на 1885 годъ**

со всѣми приложеніями, съ пересылкою во всѣ города Россійской Имперіи только 5 руб. за границу—7 руб.; на $^1/_2$ года—3 руб., за границу—4 руб.

Допускается разсрочка платежа годовой подписной цѣны: при подпискѣ 2 р. затѣмъ 1 марта 1 р., 1 апрѣля 1 р. 1 іюля 1 р.

Подписка принимается во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ. Гг. иногородныхъ просятъ адресовать: Въ редакцію журнала «Радуга», Москва.

Подписка принимается въ Тифлисѣ въ газ. агентствѣ **Шавердова.**

Редакторъ *Д. А. Мансфельдъ.*

(5—5) Издатель *Л. Метиль.*

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშის 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სხოტკები თავის ტკივილის ასასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(100—86)